აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 111-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

ნუგზარ სურმანიძე	–	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე;
გიორგი თავამაიშვილი	–	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის თანამდებობაზე;
რამაზ ბოლქვაძე	–	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე;
ლაშა კომახიძე	–	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე

ჩაქვი,
2016 წლის 18 ივლისი
№167-უ.ს.რ.ს.